

მოძრავი თამაშები ტენილი ბურთებით



მოამზადა ქეთი ქობალიაძე

I - II კლასები


„ბურთის გადაცემა რიგებში“

მოთამაშეები ეწყობიან ოთხ რიგად და ერთმანეთისაგან განმკლავზე გაყრილნი დგებიან ფეხშლით დგომში. თითოეული რიგის (გუნდის) თავში მდგომ მოთამაშეებს ეძლევათ 1 კილოგრამის წონის ტენილი ბურთი.

მასწავლებლის ნიშანზე ბავშვები ბურთს გადასცემენ წინაშეკით უკან, ფეხებს შორის გატარებით. როდესაც ბურთი მიაღწევს ბოლოში მდგომთან, რიგში მყოფი ბავშვები წახტომით ბრუნდებიან ზურგისაკენ და ფეხშლითდგომში აგრძელებენ ბურთის გადაცემას თავს ზევით უკან მდგომ მოთამაშეზე. მას შემდეგ, როდესაც თავში მდგომი მოთამაშე ხელახლა მიიღებს ბურთს, რიგში მდგომი ყველა ბავშვი წახტომით ასრულებს ზურგისკენ ბრუნს და იწყებენ ბურთის გადაცემას სხვა ხერხით: ზეტანის მარცხნივ-მარჯვნივ (ცალ-ცალკე) ბრუნებით.

გუნდი, რომელიც სხვებზე სწრაფად დაამთავრებს ბურთის გადაცემას ოთხივე ხერხით, ითვლება გამარჯვებულად.

„ლელო“



ბავშვები იყოფიან თანაბარი რაოდენობის ორ გუნდად. დარბაზში დაგებულია ტატამი, რომლის კუთხეებშიც აწყვია პლასტმასის თასები. მოასპარეუები დგანან მუხლებზე, თამაში მიმდინარეობს ტენილი ბურთით და იწყება შემდეგნაირად: ბავშვები იკრიბებიან სარბიელის შუაში, მასწავლებელი ჰაერში აგდებს ბურთს, მოთამაშეები ცდილობენ ბურთის დაჭერას და მოწინააღმდეგე გუნდის თასში ლელოს დადებას. გადაადგილება შეიძლება ან მუხლებზე დგომით, ან კოტრიალით. მოთამაშეები ერთმანეთს გადასცემენ ბურთს და ცდილობენ, დადონ ლელო. მოწინააღმდეგის შეჩერება შეიძლება კისერში ან წელში ხელის წავლებით, ხელების კვრით, ასევე შეიძლება ფეხში ხელის წავლება ან ფეხების გადაჯვარედინებით წელში ჩავლება და მოწინააღმდეგის ასე შეჩერება. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ფეხზე წამოდგება და ისე დადებს ლელოს, არ ჩათვლება და მოთამაშე მიიღებს გაფრთხილებას; მსგავსი შეცდომის განმეორების შემთხვევაში კი, დატოვებს თამაშს.


გამარჯვებული იქნება გუნდი, რომელიც პირველი დადებს 10 ლელოს.

„ძლიერი ტყორცნა“

მოთამაშენი იყოფიან 5-6 გუნდად. ცალთა კოლონებად მოწყობილი თითოეული გუნდი დგება სასტარტო ხაზზე. პირველ მოთამაშეებს ეძლევათ 1 ან 1.5 კგ. წონის ტენილი ბურთები. მასწავლებლის ნიშანზე ისინი ხაზიდან ისვრიან ბურთს წინ და რაც შეიძლება შორს წინასწარ დათქმული ხერხით (ორი ხელით ქვემოდან, თავს ზემოდან ან ცალი ხელით და სხვ.). მეორე ნომრები ისვრიან ბურთს იმ ადგილიდან, სადაც შეეხო მიწას პირველი ნომრის ნასროლი ბურთი. მეორე ნომრის ნატყორცნი ბურთის შეხების ადგილიდან ისვრის მესამე ნომერი და ა.შ.

გამარჯვებულია გუნდი, რომლის ბოლო მოთამაშის მიერ ნატყორცნი ბურთის მიწაზე შეხების ადგილი ყველაზე შორს იქნება. სასურველია, თითოეულ გუნდს ემსახუროდეს თითო მოთამაშე, რომელიც გადაანაცვლებს ბურთის შეხების ადგილებს ბურთის შეხების ადგილების მონიშვნით.

„ამანატრბენი რბენით, ხტომითა და ტყორცნით“



მოთამაშენი იყოფიან 3-4 გუნდად. ეწყობიან ცალთა კოლონებად საწყისის (სასტარტო) ხაზზე. საწყისი ხაზიდან დაახლოებით 6-8 მეტრის დაშორებით განივად იდგმება ტანვარჯიშული სკამები. დარბაზის მეორე მხარეს კედლიდან 1.5-2 მეტრის დაცილებით თითოეული გუნდის გასწვრივ დებენ ნიშნულს. გუნდებიდან პირველ ნომრებს ეძლევათ ტენილი ბურთები.

მასწავლებლის ნიშანზე მოსწავლეები წინასწარ დათქმული ხერხით ისვრიან ბურთს წინ მდებარე სკამზე გადაცილებით, გარბიან, გადაახტებიან სკამს, იღებენ ბურთს, ბურთიანად შემოუბრუნენ ნიშნულს, სირბილით ბრუნდებიან უკან, გადაახტებიან სკამს და საწყის ხაზზე გადასცემენ ტენილ ბურთს თანაგუნდელ მეორე ნომრებს, ხოლო თვითონ დადგებიან კოლონების ბოლოში. როცა მეორე ნომრები მიიღებენ ბურთს, იქცევიან ისე, როგორც პირველები და ა.შ.

იმარჯვებს გუნდი, რომელიც სხვებზე ადრე დაამთავრებს ამანატრბენს.